„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2024 წელი ● №9-10 (9575-76) ● 1-31 მაისი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

17 მაისი - ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე

17 მაისს ოჯახის სიწმინდის და მშობლების პატივისცემის დღესთან დაკავშირებით, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა და პატრიარქის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს ლოცვა-კურთხევით, საქართველოს ყველა ქალაქში გამართულ ლოცვით მსვლელობას და პარაკლისს, სენაკის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა.

სადღესასწაულო წირვას, იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, მრევლთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ლოცვით მსვლელობას, ეპარქიის სასულიერო პირებთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებია, ადგილობრივი თვითმმართველობის, მუნიციპალური აიპების და შპს-ების, ზოგადსაგანმანათლებლო სექტორის და საზოგადოების წარმომადგენლები შეუერთდნენ.

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა, სიმბოლურად, საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას ბიუსტთან, ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისი აღავლინა.

სასულიერო პირებმა, მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, დღის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

ძლიერი ოჯახი სახელმწიფოს წარმატების საწინდარია

სახლის მშენებლობა საძირკვლის ჩაყრით იწყება, მყარი ნაგებობის საფუძველია ძლიერი ფუნდამენტი... ასევე სახელმწიფოს მდგრადი ოჯახიც, ქვეყნის სიმყარის უმნიშვნელოვანესი საყრდენია...

ჯალაბი, ჯალაბობა, სახლ-კარი, სახლი, სახლეული, სახლეულობა, სახლობა, კერა, კომლი, კომლეული, ცოლ-შვილი, კომლობა, ეს ოჯახის ის ქართული ეტიმოლოგიური სახელებია, რომლებიც გადმოგვცემენ ამ სოციალური კავშირის შორეულ ისტორიულ საწყისებს . . .

საქართველოს სახელმწიფო ოდითგან ჭირსა თუ ლხინში, გამოირჩეოდა ძლიერი ოჯახების გვერდში დგომით, მაგალითისთვის საკმარისია - ცხრა ძმა ხერხეულიძის, ცხრა მაჩაბლის, შვიდი ჩოლოყაშვილის გმირობები ,,მარაბდის ბრძოლისას", რომლის დროსაც სწორედ შაჰ-აბასმა ვერ მოანგრია აღნიშული ოჯახების მყარ საფუძვლებზე მდგარი ჩვენი სამშობლო, მსგავსი ყოფნა-არყოფნის ჯურღმულებიდან ბევრჯერ ვუხსნივართ ძლიერ ოჯახებს . . . ქვეყნის დაძაბუნების პოლიტიკა, სამწუხაროდ, აწმყოშიც გრძელდება. მტრულად განწყობილმა ძალებმა საკმაოდ საფუძვლიანად შეისწავლეს წარსულის ისტორიული გამოცდილება და სწორედ დაარტყეს იმ საწყისს, იმ ფუნდამენტს, რომელსაც „ოჯახი" ჰქვია, სხვადასხვა იდეოლოგიური თეორიების ,,კანონიერ ჩარჩოებში" მოქცევით, ცდილობენ ლახვარი ჩასცენ ამ ფენომენს... ქართული სახელმწიფო ყოველთვის პოულობდა თავის თავში ძალას, სხვადასხვა საშუალებით: აშკარად, ზოგჯერ ფარულად გამოიმუშავებდა იმ იმუნიტეტს, რომლის მეშვეობითაც იგერიებდა ჩვენს ხილულ, თუ უხილავ მტრებს ... მართლმადიდებლური ეკლესია, ჩვენი ქვეყნის იდეოლოგიური იარაღი, ქართული გენის სული, რომელმაც ქრისტიანობის ორიათასწლიანი ისტორიის მანძილზე გამოგვატარა სხვადასხვა ჯურღმულები და მეტ-ნაკლებად უვნებლად მოგვიყვანა დღემდე, დადგა თავის მოწოდების სიმაღლეზე და 2014 წლის 17 მაისს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, „ოჯახის სიწმინდის დღის გამოცხადებით", გასცა პასუხი შავ-ბნელ ძალებს.

მოსახლეობის რიცხოვნობით ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მრავალშვილიანი ოჯახის ყოლა პატრიოტიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა, რაც ჩვენი გენოფონდის გადარჩენის და კიდევ უფრო გაზრდის საფუძველია, სწორედ აღნიშნულ საქმეს ემსახურებოდა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის მიერ მესამე და შემდგომი ბავშვების მონათვლა...

,,ოჯახის სიწმინდის დღის" წლევანდელი აღნიშვნა გრანდიოზული გამოდგა, მან ნათლად აჩვენა მთელს მსოფლიო საზოგადოებას ქართველი ერის „ცივილიზაციური არჩევანი", იმ ჩვენთვის უწმინდესი ფასეულობებისკენ სვლა - ენის, მამულის და სარწმუნოების სახით, რომელიც წარმოადგენს საქართველოში ოჯახური ცხოვრების სულიერ ფუნდამენტს . . .

გიორგი გარუჩავა

ვულოცავთ!

ევროპის ჩემპიონი

ბაქოში მიმდინარე 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ჩვენმა წარმატებულმა სენაკელმა ფალავანმა, გიორგი ჩხიკვაძემ (72კგ) ოქროს მედალი მოიპოვა.

სენაკელმა ფალავანმა, თურქი, უნგრელი, ბულგარელი და აზერბაიჯანელი მეტოქეების დამარცხების შემდეგ, ფინალში, ლიეტუველ სავიცკასს სძლია და საქართველოს ნაკრებს, ტურნირზე, მეორე ოქროს მედალი მოუტანა.

ჩვენს საამაყო ფალავანს, გიორგი ჩხიკვაძეს, ვულოცავთ ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას.

წარმატებული გზა კურსდამთავრებულებს!

20 მაისს ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების 350-მდე მეთორმეტეკლასელისთვის ბოლო ზარი დაირეკა.

ჩვენს კურსდამთავრებულებს ვულოცავ სკოლის დამთავრებას და სიახლეებით, განვითარების მრავალფეროვანი პერსპექტივით აღსავსე ეტაპზე გადასვლას.

მჯერა, რომ თითოეული თქვენგანი იპოვის საკუთარ ღირსეულ ადგილს საზოგადოებაში.

ხანგრძლივი, ბედნიერი და წარმატებული გზა თითოეულ კურსდამთავრებულს, მშობლიური ქალაქის, საკუთარი მომავლისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ვახტანგ გადელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

ქვეყნის სიყვარულით შთაგონებული

საზოგადო საქმე ჩუმად და უანგაროდ უნდა კეთდებოდესო, უთქვამს ბრძენკაცს, სწორედ ესაა ბატონი დემურ გადელიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის კრედო. ქვაზე დადებული სიკეთის მადლითაა გაცისკროვნებული ამ დიდებული ადამიანის, ჭეშმარიტი მამულიშვილის ცხოვრების გზა.

იგი მაგალითია თაობებისათვის, მაგალითი მაღალი ზნეობის, კაცურკაცობის, ერთგულებით საქმისადმი თავდადების, მოყვასის სიყვარულისა და თანადგომის. მას ერისკაცობა დაანათლა არსთაგამრიგემ!

მეცნიერი, ქველმოქმედი, წარმატებული მეწარმე და საუცხოო ორგანიზატორი, დეპუტატი, წიგნების ავტორი, ღირსებისა და წმინდა ნიკოლოზის ორდენების კავალერი. საქართველოს საპატიო და დამსახურებულ მეგზევედ მრავალგზის აღიარებული, სენაკისა და ზუგდიდის საპატიო მოქალაქე.

ეს არასრული შტრიხებია მისი ბობოქარი და წარმატებული ცხოვრებისა და კიდევ ერთი დასტური იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იღვაწოს ადამიანმა.

რა ბედნიერებაა, შეგეძლოს იცხოვრო არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც... ერისთვის, ქვეყნისთვის, მისი აღმშენებლობისთვის. სწორედ ეს არის უმაღლესი ადამიანური მისია, რომელსაც თქვენ ასრულებთ ღირსეულად. საქმე, რომელსაც უძღვებით საშვილიშვილოა, ეს მომავლის გზაა, რითაც ერთიანი, ძლიერი, გაბრწყინებული საქართველოსკენ მივაბიჯებთ.

გვეამაყება, რომ თქვენი ერთგული კოლექტივი თქვენს გვერდითაა და თქვენი თანამდგომია.

მრავალჟამიერ თქვენი მეგზურობა ბატონო დემურ, უღრმესი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს!

უფალი იყოს თქვენი მფარველი და მწყალობელი!

სს „არქეოპოლისი"-ს თანამშრომლები

დამსახურებული ჯილდო



ჩვენ - გაზეთ „კოლხეთის" რედაქციასა და ქუთაისის „ხომლი-ენ" სტამბას (დირექტორი ელგუჯა თავბერიძე) პროფესიული ურთიერთობის დიდი ხნის ისტორია გვაკავშირებს. ამ დროის მანძილზე თბილი, მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა ბატონ ელგუჯასთან, რომელიც მრავალმხრივი უნარებით, გამორჩეული პიროვნული თვისებებით, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანია. გაზეთ „კოლხეთის" შემოქმედებითი კოლექტივის სახელით ვულოცავთ მას დამსახურებულ ჯილდოს - საპატიო ქუთაისელის წოდებას, ვუსურვებთ დღეგრძელობასა და მშობლიური ქალაქის სამსახურში არ დაღლას.

„კოლხეთელები"

მუნიციპალიტეტის მერიაში (გაგრძელება)

26 მაისი – რაც გვეამაყება და გვაერთიანებს

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე სენაკში, კულტურული, სპორტული, საბავშვო და გასართობ-შემეცნებითი, საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ ორგანიზებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის

106 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, განახლებულ ცენტრალურ მოედანზე, სამხედრო ტექნიკის გამოფენით დაიწყო. მოსწავლე-ახალგაზრდობის სკვერში, მოეწყო გასტრონომიული სივრცე, ფოტო ზონები, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, გამოფენები - „საქართველოს კუთხეები" - საჯარო სკოლების მონაწილეობით; „ყვავილების ფესტივალი" - საჯარო სკოლების და სკოლამდელი აღზრდის სექტორის ჩართულობით, ასევე, სანახაობრივად დატვირთული თემატური აქტივობები. ცენტრალური სტადიონის განახლებულ სათადარიგო მოედანზე გაიმართა საბავშვო საფეხბურთო ფესტივალი; ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალთბურთო მოედანი დაეთმო ფინალურ მატჩს 3X3 კალათბურთში; მოსწავლე-ახალგაზრდობის სკვერში, მთელი დღის მანძილზე, მიმდინარეობდა სპორტული აქტივობები სხვადასხვა სახეობებში: ტაიკვანდოში, ძიუდოში, მკლავჭიდსა და ჭადრაკში. ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლამ კლასიკური მუსიკის საღამოს უმასპინძლა. მერის მრჩეველთა სათათბირო ახალგაზრდული საბჭოს ინიციატივით, ასევე მოეწყო საგანმანათლებლო-შემეცნებითი სივრცეები, გასართობი ატრაქციები, დოკუმენტური ფილმის ჩვენება. საჯარო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით - გაიმართა ფლეშმობი, ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით - საზეიმო კონცერტი. ამფითეატრის სცენაზე ჩატარდა ადგილობრივი შემსრულებლების - „ კოლხური ტრიოს", „ მუსიკელის", „ეგრისის", „გოგალაის" და საბავშვო და ბაგა-ბაღების აღსაზრდელების საზეიმო კონცერტები. 17:10 საათზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიული დრო სენაკში საზეიმოდ აღინიშნა - ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მიერ შესრულდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი. 26 მაისის საზეიმო ღონისძიებები, მირზა მოდებაძის და ჯგუფის: „მირზა და ბენდი" კონცერტით და ფოიერვერკით დასრულდა. დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ეროვნული სამოსისა და მუზეუმების საერთაშორისო დღე

18 მაისს ქუჯის ისტორიულ ქალაქში - ნოქალაქევში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმის მხარდაჭერითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, ეროვნული სამოსისა და მუზეუმების საერთაშორისო დღეები აღინიშნება.

ღონისძიების ფარგლებში, მოეწყო:

კონცერტი და თეატრალური კომპოზიცია - მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით; ფოტოზონები, სივრცეები, შემეცნებითი ინსტალაციები;

საღამო დაასრულა ჯგუფ „ეგარის" კონცერტმა.

ღონისძიებების ფარგლებში ქალაქის ცენტრლურ ქუჩებში კოსტუმირებული საზეიმო მსვლელობა გაიმართა, რომელიც დასრულდა საზეიმო კონცერტით, თეატრის მიმდებარედ, ადგილობრივი ქორეოგრაფიული და შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით

მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან - 79 წელი

ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად და ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, ტრადიციულად, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ალექსანდრე წურწუმიას ძეგლი ყვავილებით შეამკო.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 79-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარების სახით - 2000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები - 1000 ლარს მიიღებენ.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

დედამიწის დღე

დედამიწის დღეს მიეძღვნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს მხარდაჭერითა და გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია "დეას" ორგანიზებით გამართული გამწვანების აქცია, ფორუმი და მზის ენერგიაზე მომუშავე ენერგოეფექტური სკამის გახსნა. პროექტის - "ციფრულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა კონფლიქტით დაზარალებული პირების ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით" ფარგლებში, საქართველოს ეროვნული გმირების სახელობის სკვერში, გამწვანების აქცია მოეწყო.

აქციაში მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ბადრი ქუთელიამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ზაზა ნაჭყებიასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, ბუნების ახალგაზრდა ქომაგებთან, დონორი ორგანიზაციებისა და შესაბამისი სექტორების წარმომადგენლებთან ერთად მიიღო. სკვერში 70 ნერგი დაირგო. გარემოსდაცვითი ღონისძიების მიზანი - ქალაქის გამწვანება, ბუნების დაცვა და ჯანსაღი გარემოს შექმნაა.

დღე, სენაკის ტექნოპარკში გამართულმა ფორუმმა დაასრულა, რომელსაც გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია ,,დეას" თავმჯდომარე, სენაკის ტექნოპარკის მენეჯერი, პროექტის კოორდინატორი, თამარ მალანია უძღვებოდა.

პანელურ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზაზა ნაჭყებიამ, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანმა, მანანა გვიჩიამ, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), კრიზისის პრევენციისა და აღდგენის მიმართულების ხელმძღვანელმა, გიორგი ვარდიშვილმა, ზუგდიდის ტექნოპარკის მენეჯერმა, ანუკი ასათიანმა, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს საგრანტო კონკურსის ერთ-ერთმა გამარჯვებულმა, ირმა ადამიამ.

დედამიწის დღე სენაკში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, №EU4Dialogue პროექტის ფარგლებში გაიმართა.

,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის"

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ბადრი ქუთელიამ, ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის" (M4EG) - ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო ქალაქ თბილისში გამართულ "ფინანსური და საინვესტიციო მზაობის აკადემიის" სემინარზე. სენაკის მუნიციპალიტეტი, საქართველოს 10 მუნიციპალიტეტს შორის, პროგრამაში - "ფინანსებისა და ინვესტიციების მოზიდვის მზაობის აკადემია" - მონაწილეობის მისაღებად შეირჩა. შეხვედრას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, მზია გიორგობიანი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ევროკავშირის, განვითარების პროგრამისა და პროექტში შერჩეული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ევროკავშირი და გაეროს განვითარების პროგრამა, რეგიონული ინიციატივის "მერები ეკონომიკური ზრდისთვის", M4EG, ფარგლებში, მიზნობრივ სწავლებასა და დახმარებას სთავაზობენ შერჩეულ მუნიციპალიტეტებს მათი ფინანსური მზადყოფნის უზრუნველყოფისთვის. პროგრამაში მონაწილეობის შედეგად, მუნიციპალიტეტები მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას დაფინანსების არსებულ შესაძლებლობებზე, მოამზადებენ კონკურენტულ საპროექტო იდეებსა და საინვესტიციო წინადადებებს, ასევე შეძლებენ თანხვედრაში მოიყვანონ მათ ხელთ არსებული ფინანსური და საინვესტიციო მექანიზმები. ევროკავშირთან დაახლოების გზაზე, დინამიური, გონივრული და წარმატებული ადგილობრივი განვითარება უდიდეს როლს ასრულებს. ამ მხრივ, საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება მუნიციპალიტეტების მზაობას სრულყოფილად გამოიყენონ დაფინანსების შესაძლებლობები და ევროკავშირში არსებული ფინანსური და საინვესტიციო ინსტრუმენტები.

საიუბილეო თარიღი

გაზეთ ,,კოლხეთის" დაარსების 101 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, საინფორმაციო ცენტრის დირექტორს, გაზეთ ,,კოლხეთის" მთავარ რედაქტორს, ნინო სართანიას, ცენტრის დირექტორის მოადგილეს, გაზეთის რედაქტორს, მედეა ბაღათურიას, კორესპონდენტებს: მაია გერგაიას, გიორგი გარუჩავას, ბუღალტერს, რედაქციის უხუცეს წევრს, ჟულიეტა ჩაჩიბაიას შეხვდნენ.

რედაქციის შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს, ნაყოფიერი პროფესიული საქმიანობისთვის, მადლობა გადაუხადეს და სასაჩუქრე ვაუჩერები გადასცეს.

,,გილოცავთ, კოლხეთელებო. წინსვლას და წარმატებებს გისურვებთ.

საამაყოა და სასიხარულო, რომ გაზეთის რედაქციასთან მრავალი სახელოვანი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და ხელოვნების წარმომადგენელი თანამშრომლობდა. მის წიაღში ასევე ფეხი აიდგა სენაკის არაერთმა ღირსეულმა შვილმა.

მე პირადად, ისევე როგორც ჩვენი გუნდი, ყოველთვის ვიდგები თქვენს გვერდით და შევეცდები თქვენი საქმიანობის ღირსეულად დაფასებას" - აღნიშნა რედაქციაში სტუმრობისას მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ.

მასშტაბური პროექტი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას ინიციატივით და მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, სენაკში, კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი ხორციელდება - ქალაქის ცენტრალური მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში, დასრულების ეტაპზეა:

დეკორატიული განათების სისტემის მოწყობა;

წყალსაწრეტი - ღია და დახურული კომუნიკაციების მონტაჟი;

ტერიტორიის გამწვანება;

დასასვენებელი ატრაქციების, რეკრეაციული სივრცეების მოწყობა;

საბაღე ინვენტარის მონტაჟი;

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე განთავსდა ღირსეული შვილის, სენაკის საპატიო მოქალაქის და, უბრალოდ, განუმეორებელი ,,ღიმილის ბიჭის" - ,,ბოლოკას" - გოჩა ლომიას სკულპტურა. პროექტის დასრულების შემდეგ, ქალაქს, ყველა თაობისთვის გათვლილი, კიდევ ერთი რეკრეაციული სივრცე შეემატება.

შემოქმედებითი საღამო

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით, სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა ,,გოგალაიმ", შემოქმედებითი საღამო გამართა. საღამო კვირაცხოვლობის, ანდრია პირველწოდებულის ხსენების და ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღესასწაულებს მიეძღვნა.

ღონისძიებას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, ადგილობრივი თვითმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა, ვეფხვია ვეფხვაძემ, კვირაცხოვლობის, ღვთისმშობლობისა და ანდრიაობის დღესასწაულების მნიშვნელობაზე ისაუბრეს და ანსამბლს შემოქმედებითი წინსვლა, შემდგომი წარმატებები უსურვეს.

ანსამბლი „გოგალაი", 2009 წელს შეიქმნა. არსებობის მანძილზე ანსამბლმა არაერთ წარმატებას მიაღწია.

„გოგალაი" მონაწილეობას ღებულობს საქართველოში გამართულ თითქმის ყველა ფოლკლორულ ფესტივალში. ანსამბლი ასევე წარმატებით წარდგა უცხოელი მსმენელის წინაშე. ხელოვნების ცენტრთან არსებულ ანსამბლს ლალი გოგია ხელძღვანელობს. „გოგალაის" რეპერტუარში შედის მეგრული, აფხაზური, ლაზური, ქალაქური და საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები.

ანსამბლი - ლალი გოგიას, ლანა შამათავას, ცირა ჯოლიას, გოჩა ჯგერენაიას და ბადრი ალანიას შემადგენლობით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მასშტაბური საიუბილეო საღამოს გამართვას გეგმავს.

გამარჯვება მიულოცეს

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია და მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, ტაეკვანდოში მსოფლიო თასის ტურნირის გამარჯვებულ ნორჩ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელს, ტაეკვანდოს ფედერაციის (ITF) პრეზიდენტს, მეექვსე დანის მფლობელ ლაშა ჯოლოგუას შეხვდნენ, მოპოვებული გამარჯვება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

მიმდინარე წელს, ტაეკვონდოში მსოფლიო თასის გამარჯვებულები გახდნენ: ლუკა სიჭინავა (9 წლის) - პირველი ადგილი; იოანე გოგოლიშვილი (11 წლის) - პირველი ადგილი.

წარმატებულად იასპარეზეს: 8 წლის ნიკოლოზ წურწუმიამ და 11 წლის ოთო დემურიამ. მათ მე-3 ადგილი მოიპოვეს; ზრდასრულებში კი - მე-2 ადგილზე გავიდა ცოტნე მიშველაძე; ბრინჯაოს მედლის მფლობელი გიორგი ხოფერია გახდა.

სამედიცინო აქცია

18 მაისს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და წითელი ჯვრის საზოგადოების ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ზანის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას, უფასო პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური გამოკვლევები ჩაუტარდა. აქციაში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა პროფილის ექიმები.

პროექტის ფარგლებში, 19 მაისს უფასო პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური კვლევები ჩაუტარდა ეკის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას.

სამედიცინო აქცია პერმანენტულ ხასიათს ატარებს და სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავს.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

***

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ინგა ქარდავა, საბჭოს მდივანი, მანანა გვიჩია და საბჭოს წევრები, 2023 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თა-

ნასწორობის საბჭოს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსი ,,ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის" ერთ-ერთ გამარჯვებულს, ვენერა ხახუბია-ესებუას მონიტორინგის მიზნით ესტუმრნენ და სამუშაო პროცესშიც ჩაერთნენ.

ვენერა ხახუბია-ესებუას პროექტის ფარგლებში, 15 მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს შეისწავლოს ხალხური რეწვის ტრადიციული ხელსაქმე და ამავდროულად მიმდინარეობს მეწარმული უნარჩვევების შესწავლა. პროექტში მონაწილეები ეცნობიან ხალხური რეწვის ტრადიციულ ხელსაქმეს, სწავლობენ და ითვისებენ ხალხური ხელობის დარგებს. გოგოები შეისწავლიან თექაზე მუშაობას, კერვას, ქსოვას, ხოლო ბიჭები ჩიჩილაკის გათლის ხელოვნებასა და ხეზე ამოწვის ტექნიკას. პროექტი ითვალისწინებს, საქართველოში ხალხური რეწვის ტრადიციების შენარჩუნებას, დარგის განვითარების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის დღეს, დაგეგმილია პროექტის ფარგლებში შექმნილი ნამუშევრების გამოფენა.

შეხვედრის დასასრულს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს, პროექტში მონაწილე მოსწავლეების მიერ შესრულებული, თექის ფერწერული სურათი საჩუქრად გადაეცა.

საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გასულ წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა და რეგისტრირებულმა, 15-მა ქალბატონმა მიიღო მონაწილეობა. საბჭოს წევრებისაგან შემდგარმა კომისიამ, ორი გამარჯვებული გამოავლინა და კონკურსისათვის გამოყოფილი თანხა 10 000 ლარი, ორივეზე თანაბრად გადანაწილდა.

***

2024 წლის 25 აპრილს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინსტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების თაობაზე" - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კალანდარიშვილი.

***

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, საკრებულოს თავ-

მჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, კომისიის წევრები, მანანა გვიჩია და მარინე ნანეიშვილი, სოციალურად დაუცველ ოჯახებს ესტუმრნენ, დამდეგი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული მიულოცეს და მათ სააღდგომო პასკისგან, ტკბილეულისგან და სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტისაგან შემდგარი სადღესასწაულო ნობათი გადასცეს.

***

2024 წლის 30 აპრილს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ცხრა საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბადრი კალანდარიშვილი.

3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თობაზე".

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ბადრი ხურცია.

4. სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №43 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კალანდარიშვილი.

5. შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები"-ს მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა.

6. შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" მიერ 2023 მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ინგა ქარდავა.

7. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინსტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების თაობაზე" - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კალანდარიშვილი.

8. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ მოსმენა და შეფასება.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი მანანა გვიჩია.

9. სენაკის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე.

მომხსენებელი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო საკითხებში

არ არსებობს აუხდენელი ოცნება

საქართველო შეუერთდა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ინიციატივას და 2021 წლიდან 18 მაისს აღნიშნავს საზღვაო სფეროში მომუშავე ქალთა დღეს, რითაც მხარს უჭერს საზღვაო სფეროში ქალთა დასაქმებასა და ხელშეწყობას და მათი როლის გაზრდას.

1936 წელს ბათუმის საზღვაო ტექნიკუმში ოთხმა მეგობარმა შტურმანის, იგივე გემწამყვანის პროფესია აირჩია. ამ ამბავში უცნაური არაფერი იყო, გარდა იმისა,რომ ოთხივე გოგო იყო. ქალი ზღვაში საქართველოში ახლაც იშვიათი შემთხვევაა და 1936 წელს-მითუმეტეს. კაპიტნობაზე მეოცნებე ოთხი ახალგაზრდა ქალის ისტორია კი მწერალ ალექსანდრე ჩხაიძის შთაგონება გახდა და მიუძღვნა წიგნი ,,ზღვა და ოთხი ქალიშვილი" .

დღეს მოგითხრობთ სენაკელ გოგონაზე, ლიზი ქავთარაძეზე, რომელმაც თავისი არჩევანით დაამსხვრია სტერეოტიპი, რომ საზღვაო სფეროში ქალის ადგილი არ არის.

ლიზიმ დაამთავრა სენაკის კერძო სკოლა მარიოტა, წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები, მიიღო 50 % -იანი გრანტი და გახდა ბათუმის საზღვაო აკადემიის ნავიგაციის ფაკულტეტის სტუდენტი.

რატომ აირჩია მეზღვაურის პროფესია, რა გახდა მისი შთაგონების წყარო, როგორია სტუდენტობა, როცა შენს ჯგუფში ერთი გოგონა ხარ, რამდენად რთულია ქალისთვის ,,არაშესაფერისი" პროფესიის სწავლა, რას ურჩევდა იმ გოგონებს, რომლებიც ოცნებობენ მეზღვაურობაზე, მაგრამ ,,ეშინიათ", ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება ლიზი.

მეხუთე კლასში ვიყავი, როცა გავიგე ნათია ლაბაძეზე. ის იმ დროს პირველი გოგონა გახლდათ, რომელმაც უნივერსიტეტი დაასრულა საზღვაო ნავიგაციის განხრით და მიდიოდა შორეულ ნაოსნობაში. იმდენად მოვიხიბლე მისი ისტორიით, რომ დავიწყე ინფორმაციების მოძიება ზღვაოსნობაზე, მეზღვაურ ქალებზე. წარმოვიდგენდი, როგორ გავხდებოდი მეც მეზღვაური და დავლაშქრავდი უკიდეგანო ოკეანეებს. სწორედ მაშინ მტკიცედ გადავწყიტე რომ მეზღვაური გავხდებოდი. ვერ ვიტყვი, რომ აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩემს არჩევანს. ეგონათ, რომ ბავშვური გატაცება იყო და გადამივლიდა, თუმცა წინააღმდეგობაც არ გაუწევიათ.

დღეს უბედნიერესი ვარ, რადგანაც სასურველ პროფესიას ვეუფლები.

ვერ ვიტყვი რომ აქ სწავლება იოლია. სირთულედ შეიძლება ჩაითვალიოს ადაპტაციის პერიოდი, როდესაც შენთვის იწყება სრულიად განსხვავებული ცხოვრება ახალი გამოწვევებითა და თავგადასავლებით სავსე. მაგრამ გაცნობიერებული მქონდა, რომ შეიძლებოდა ერთადერთი გოგო ვყოფილიყავი კურსზე ან ჯგუფში, ამიტომ წინასწარ შეგუებული ვიყავი ამ ფაქტს. გამიმართლა, რადგანაც ძალიან კარგი კურსელები და მეგობრები შევიძინე, რომლებიც ყოველთვის მამხნევებენ და გვერდში მიდგანან. ყოველდღე ვრწმუნდები, რომ ზუსტად იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო.

ძალიან საინტერესოა თვითონ სწავლის პროცესი, ლექციები არის მრავალფეროვანი, არაჩვეულებრივი ლექტორები მყავს, რომლებიც ცდილობენ რაც შეიძლება საინტერესო გახადონ ლექციები სხვადასხვა აქტივობებით, გვეხმარებიან უფრო მეტად ვიყოთ ჩართულები სწავლის პროცესში. ლექციების შემდეგ ხშირად იმართება შეხვედრები უცხოურ თუ ქართულ კომპანიებსა და უნივერსიტეტებს შორის, სადაც გვიზიარებენ თავიან გამოცდილებას და გვაძლევენ რჩევებს. ხშირია საკონკურსო შეხვედრებიც, იმართება შიდა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სადაც შეგვიძლია მივიღოთ მონაწილეობა. ასევე არის შიდა და გარე გაცვლითი პროგრამებიც. მონაწილეობა მივიღე 15-19 აპრილს გამართულ ,,მერვე კადეტთა საერთაშორისო კონფერენციაში", რომელშიც 12 ქვეყნის 62 მონაწილე იყო ჩართული. შეხვედრას დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია მასპინძლობდა.

სამწუხაროა, დღესაც არსებობს სტერეოტიპი, იმასთან დაკავშირებით უნდა იყვნენ თუ არა ქალები ჩართულები საზღვაო სფეროში, რომ არ არის ეს ქალის საქმე. მე ვთვლი რომ პირიქით, საჭიროა კიდეც. თუმცა ეს დამოკიდებულია მათ სურვილზე, მონდომებასა და პროფესიის წრფელ სიყვარულზე, ამ სამი კომპონენტის შეერთებით ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია. ჩემთვის პირველ რიგში, ბევრ შრომასთან ასოცირდება. მგონია, რომ არ არსებობს აუხდენელი ოცნება, თუ ამისთვის ბევრს ვიშრომებთ და ხელს არ ჩავიქნევთ. წარმატებაა დასახული მიზნის მიღწევა, ყველაზე სასიამოვნო ის გზაა, რომელსაც ამ მიზნის მისაღწევად გავდივარ. აქვე ვიტყვი, რომ ყველა პროფესია კარგია, რომელსაც სრულყოფილად დაეუფლები.

რაც შეეხება სუსტ სქესს, ჩვენ - ადამიანები ვყოფთ ჯგუფებად სხვებს, ჩემი აზრით კი სუსტი სქესი არ არსებობს. ამის ნათელი დასტურია ქართველი მეზღვაური, მფრინავი, სამხედრო, პოლიციელი ქალბატონების ისტორია, რომლებიც თავიანთი პროფესიონალიზმით, გმირობით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მამაკაცებს. ვფიქრობ რომ 18 მაისს აღნიშნული საერთაშორისო დღე იმ ქალებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან საზღვაო სფეროში (რომელიც იმართება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მხარდაჭერით) გარკვეულ წილად ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას.

ვინც ოცნებობს მეზღვაურობაზე და არა აქვს მნიშვნელობა რა პროფესიას ირჩევს, ყველას ვეტყოდი, რომ ჩვენ დიდი პოტენციალის მატარებლები ვართ. უნდა ვეცადოთ ჩვენი თავის საუკეთესო ვერსიები ვიყოთ და ჩვენი რესურსები მაქსიმალურად გამოვიყენოთ. დავისახოთ მიზნები, ვიშრომოთ ამ მიზნების მისაღწევად და თან სიამოვნება მივიღოთ მთელი ამ პროცესიდან.

,,კოლხეთის" რედაქცია ულოცავს ლიზის საზღვაო სფეროში მომუშავე ქალთა საერთაშორისო დღეს და უსურვებს მიზნებისა და ოცნებების წარმატებით ასრულებას.

მაია გერგაია

ბოლო ზარი

,,ახალგაზრდობა - იმედი ხვალის"

„ახალგაზრდობა -
ქედი ხარის და სიმხნე ხარის!
იმედი ხვალის და
პირველ სიმდიდრე ერის!
ახალგაზრდობა - სიმაღლე ხალხის!
ახალგაზრდობა - სიახლე ქვეყნის!
ახალგაზრდობა
ვერ აღელვებს იმედით ვისაც,
დაღუპულია იმისი საქმე"...

ემოციები, განცდები, ზღვა სიხარული, ... სურვილები, ოცნებები, პერსპექტივები... ბოლო ზარი, მშობლიური სკოლა, უპეებში გატრუნული კურცხალი... წარწერებიანნახატებიანი თეთრი მაისურებით აჭრელებული გოგო-ბიჭები, ალმების, ხილბანდების ფრიალით, ფოტო-ვიდეო გადაღებებით, ტკრციალ-ყიჟინით მამულის გზა-შარებს მოდებულნი; ესენი გზასაყართან მდგარი მომავალი თაობაა, რომელთა სულში დაუსაბამო სიხარული სუფევს, გულიც ერჩით, გონებაც უჭრით.

საოცარი მუხტი მოდის მათგან, ზღვა ენერგია, თვითეული ჩვენთაგანისათვის ისტორია ცოცხლდება, გონებაში კადრები ტრიალდება და წამით ბავშვობაში ვბრუნდებით, ჩვენი დროის სასკოლო განცდებში ვიძირებით. მადლობა მათ ამისთვის. დავუბრუნდეთ გზასაყართან მდგარ ჩვენს ახალგაზრდებს, ტანზე წარწერებად სურვილები რომ აუსხამთ და თავიანთი ემოციებით გვამცნობენ, რომ მოდიან იმისთვის, მე, შენ, ჩვენ, თქვენ შეგვეხიდონ, გვერდში დაგვიდგნენ, ოჯახისა და სამშობლოს სიყვარულში, მოვლა-პატრონობაში შეგვეჯიბრონ, მხოლოდდამხოლოდ მეტი ცოდნით, განათლებით, ისტორიის სწორად აღქმით, წინაპრების, ტრადიციების პატივისცემით, ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებით...

დღევანდელი სამიზნე მენჯის საჯრო სკოლაა, რომელმაც დაგვაინტერესა კურსდამთავრებულთა აკადემიური მოსწრებით, ხედვებით, სამშობლოს შეგრძნებით, სულის მოძრაობით, მათ მიერ ,,საბანკეტო" სტანდარტის დარღვევით და ა.შ.

გთავაზობთ სოციალურ ქსელში დადებულ, ქალბატონ ელისო ლემონჯავას პოსტს, რომელიც თავის აღზრდილებისადმი ცხოვრებაში საგზლად გაყოლებული ლოცვაა, სულსა და გულში ვერდატეული განცდაა, რომელსაც სიყვარული შობს, უპირობო სიყვარული

მწვერვალებისკენ

ყოველი პირველი გაკვეთილი, თქვენთან შეხვედრით იწყებოდა... ველოდი, დღეს არ მოხვიდოდით, რადგანაც პარასკევს მოვაწყვეთ გაცილების დღესასწაული...

ძველებურად, კიბესთან, ლუკა შემეგება. ოთახში მარი იყო... მერე, თამუნაც მოვიდა... კიდევ ერთხელ გადავიღეთ სურათები.. ცრემლის გორგალი მოვაქუჩე..

ჩვენი ხმაურიანი, იუმორითა და სიცილ-კისკისით სავსე ოთახი მოწყენილი მომეჩვენა..

გარეთ, მაისის მზე ბარჩხალებს, ისეთი, რომ სევდას სხივებით ადნობს... საბუდარიდან მიფრინავთ ლაღები, ამაყები, თავისუფლები... მიყვარხართ მე თქვენ:სამი მარიამი, ორი გიორგი, ხატია, თამუნა, ლუკა, თოკო, რეზი..

ყოველ ორშაბათს, ჩახუტებით ვიწყებდით, რომ მთელი კვირის წყენა გაგვექარვებინა... ეს, ჩვენი, ბოლო ჩახუტებაა, რომ ცისკენ, ლაღად აფრინდეთ...

თქვენ, ჩემი თოლია ჯონათან ლივინგსტონები ხართ... და, არასოდეს დამარცხდებით..

გზას დაგილოცავთ, მწვერვალებისკენ...

ელისო ლემონჯავა, მენჯის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია, მას ვთხოვეთ გაეცნო ჩვენი მკითხველებისთვის სკოლის კურსდამთავრებულები

- ძნელია ისაუბრო კლასზე, რომელთან ერთადაც რვა წელი მოდიხარ. ეს იყო კლასი, რომელიც ყოველთვის იყო წარმატებულთა შორის, უამრავი განხორციელებული ღონისძიებით, პროექტით.

მენჯის საჯარო სკოლის (დირექტორი ლ.თოფურია) ისტორიაში პირველად, ათი მოსწავლიდან ოთხი - ოქროს მედლის, ხოლო ერთი - ვერცხლის მედლის კანდიდატია.

გაიცანით ჩვენი ოქროს გოგო-ბიჭები!

ოქროსმედალოსნები: მარიამ ნაჭყებია, მარიამ ზარანდია, ხატია მაშავა, ლუკა მაშავა;

ვერცხლისმედალოსანი: თამუნა როდონაია.

წარმატებული მოსწავლეები: თორნიკე მაშავა, რეზი ნადარაია, გიორგი ხურცია, გიორგი ელიავა, მარიამ სიმონია.

ეს დაუღალავი, მუხლჩაუხრელი სიბეჯითის, შრომის, პროფესიონალი პედაგოგებისა და საუკეთესო მოსწავლეების ერთად მიღწეული შედეგია.

ჩემი გამორჩეული, ერთ-ერთი საუკეთესო კლასი..

მათ უარი თქვეს ხმაურიან ბანკეტზე, გამოშვების ცერემონიაზე და კიდევ ერთი, უცნობი კუთხის, გაცნობა-შეყვარება გადაწყვიტეს.

ტაო-კლარჯეთი თუ კახეთი... ბოლოს მაინც სვანეთმა გადასძალა.. მთებისკენ... მწვერვალებისკენ. იქ, სადაც არწივების საბუდარია... სადაც,უშბა და შხარაა.. სადაც მზესაც კი, საგალობელი აქვს... სადაც, მზე გულიდან ამოდის და სიყვარულის სხივებად იფრქვევა..

რას ვაკეთებთ ჩვენ პედაგოგები?.. კრძალვით ვპასუხობ: არაფერს განსაკუთრებულს.. მხოლოდ, მშობლიურ მთებს, მდინარეებს, მინდვრებს, ტაძრებს, ვაყვარებთ. მეტი რა ძალმიძს, როგორ შემიძლია სხვაგვარად ვასწავლო ვაჟა, ილია,გალაკტიონი.. აქ, მწვერვალებისკენ ასაფრენად ფრთები არ გჭირდება, მთები თავად მიგვაქროლებს თავისკენ..

დასრულდა ემოციური თორმეტწლიანი ურთიერთობის ოდისეა. ხვალიდან, სხვა აღმართებს შეუდგებიან..

დალოცვილი იყოს ეს აღმართი, მათ ესმით მწვერვალების დაპყრობა არც ისე იოლია.. ამას, აქ ბუმბერაზი მთების წინაშე მდგარნი მიხვდნენ, ამას

დიდი შრომა და მიზნისკენ სწრაფვა სჭირდება..

ქალბატონო ელისო, აღნიშნული ცრემლიან-სიხარულიანი წუთები, ბოლო ზარს რომ ახლავს, რამდენადაც ყოველი ჩვენთაგანისთვის ნაცნობია, იმდენად ახალია ყოველ ჯერზე, ესაა მარადიული, გაუხუნარი გრძნობა მასწავლებელ-მოსწავლეს შორის წლების მანძილზე მისხალ-მისხალ შეგროვილი. ამ გრძნობის სისავსით, სიდიადე-პროფესიონალიზმისა, გიკვალავდეთ გზას თაობათა გულებისკენ, თქვენთან ერთად საგანმანათლებლო სივრცის ყველა წარმომადგენელს. არ მოგშლოდეთ აღზრდილთა სიყვარული...

გაზეთ ,,კოლხეთი" მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებს ულოცავს სკოლის დამთავრებას პრინციპით - "შენ სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ - შენი ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა და გარეთ - შენი ერის!"

ორი მნიშვნელოვანი დღე

,,ჩვენ ეს უნდა ვიცოდეთ"

უკვე 40 წელია, რაც 2 სართულიანი ყოფილი სასტუმროს შენობა, სადაც საკონცერტო დარბაზზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, გადაკეთდა 3 სართულიან კეთილმოწყობილ სკოლად 2 საკონცერტო დარბაზით, საუკეთეო როიალებით. ახალ შენობაში გადასვლამ და გაფართოებამ სკოლის ცხოვრებას ახალი სიცოცხლე შესძინა. შეიქმნა სანიმუშო პირობები მოსწავლეთა მუსიკალური განათლებისათვის და სამუსიკო სკოლა ბავშვთა მუსიკალური განათლების ძლიერ კერად იქცა. რასაც მოწმობს სკოლის მოსწავლეთა წარმატებები რესპუბლიკურ დათვალიერებებზე და სხვადასხვა სახის კონკურსებში.

40 წელი, 40 გამოშვება, რამდენ სენაკელს მიეცა საუკეთესო პირობები სწავლისათვის! საამაყოა და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ თაობები აფასებენ გაწეულ შრომას. გასული საუკუნის 80-იანი წლებში ასეთი სკოლით ბევრი ვერ მოიწონებდა თავს... გავიდა დრო. 2018 წლიდან სკოლის შენობა ემსახურება ხელოვნების ცენტრს. ახალი სუნთქვა, ახალი ხედვა, ახალი ენერგია, საუკეთესო რემონტი. ყოველივე ამან უფრო საინტერესო გახადა სამუსიკო სკოლის ცხოვრება. არაერთი სახელოვანი მუსიკოსი ჩამოსულა სტუმრად და გამოუხატავს აღტაცება. გაჩნდა ახალი პროექტები....

სენაკელი მსმენელები საკმაოდ განებივრებული ვართ სამუსიკო სკოლაში ჩატარებული ღონისძიებებით, სადაც საშუალება გვაქვს მოვისმინოთ კლასიკური მუსიკა.

ამის დასტური იყო 16 მარტს ხელოვნების ცენტრის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარებული მორიგი ღონიძიება: სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგის, მუსიკათმცოდნე ლუირა ქობალავას მოსწავლეების, ნორჩი მუსიკოსების ანამარია ჯიშკარინისა და ქეთი სალაყაიას სოლო კონცერტი ,,ჩვენი მუსიკალური გაზაფხული", რომელიც მიეძღვნა 2010 წელს აკაკი ხორავას სახელობის დრამატულ თეატრში ჩატარებული საქველმოქმედო კონცერტის ტრადიციის განახლებას.

ანამარია ჯიშკარიანის და ქეთი სალაყაიასთან ერთად კონცერტში მონაწილეობდნენ საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეები მარიტა სახოკია, ბარბარე და მარიამ აკობიები, ელენე გოგია. შესრულდა საცეკვაო მუსიკა, ეტიუდები, პოლიფონიური და დიდი ფორმის ნაწარმოებები. აჟღერდა ასევე პროგრამული ასახვითი მუსიკა. მოსწავლეებმა გიორგი ლაშქარავამ, ანი აბულაძემ, თეკლა სახოკიამ სათანადო ცოდნა გამოავლინეს მუსიკის ლიტერატურაში. კარგი ცოდნით თავი გამოიჩინეს I და II კლასის სოლფეჯიოს ჯგუფის მოსწავლეებმა. ქეთი ხარბედიამ შეასრულა ვოკალური ნაწარმოები. საღამო დაამშვენა პედაგოგთა შესანიშნავმა ტრიომ ლელა მიქაბაძის, მარინა ბერიშვილისა და მაია ჯალაღონიას შემადგენლობით. მათ მიერ შესრულდა საგალობლები. მსმენელზე განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა მხატვრული კითხვის ოსტატის ქალბატონ მზია ბარქაიას გამოსვლამ.

ასეთი იყო ,,ჩვენი მუსიკალური გაზაფხული -2024"

კონცერტს ესწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ ქალბატონები გრიალა ანთია, ლია ღვამბერია, მაია რობაქიძე, ლავანდა ხურცილავა, ლელა სიჭინავა, ინეზა მაშავა, კესო პაპავა, როენა კორშია.

ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ბატონმა ვეფხვია ვეფხვაძემ წარმატებები და წინსვლა უსურვა აღსაზრდელებს.

აქვე გთავაზობთ ამონარიდს პუბლიკაციიდან, რომელიც მიეძღვნა 2010 წლის 16 მარტის საქველმოქმედო კონცერტს-ავტორი ქალბატონი ლუარა ჯიქია:,,ველოდებოდი რომ კარგი კონცერტი ჩატარდებოდა, მაგრამ ასეთ დონეს ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი". – ეს სიტყვები ეკუთვნის მეუფე შიოს.

2010 წლის 16 ივნისს საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა ჩხოროწყუში წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის თანადგომის ეგიდით. ჟურნალისტ, ქალბატონ ლეილა ლემონჯავა-ხოშტარიას პუბლიკაციაში ვკითხულობთ ,,დღეს, 2010 წლის 16 ივნისს, ჩხოროწყუში აშენდა წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარი" - ამ სიტყვებით დაასრულა საქველმოქმედო კონცერტის ინიციატორისა და მონაწილეებისადმი სამადლობელი სიტყვა სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე შიომ და მისთვის დამახასიათებელი ღვთიური მადლით სავსე ღიმილით დაამატა: ,,ტაძარი აშენდა ზეცაში"! ...

„ცხადია, ღვთის ნება იყო დღევანდელი კონცერტის დაგეგმვაც. კონცერტის ინიციატორი და ხელმძღვანელი გახლდათ სენაკის №2 საჯარო სკოლასთან არსებული სამუსიკო ათწლედის პედაგოგი, მუსიკათმცოდნე ქალბატონი ლია ქობალავა, რომელსაც სათანადო დახმარება და მხარდაჭერა გაუწია ათწლედის დირექტორმა ქალბატონმა ლია ქაჩიბაიამ."

მოგვიანებით კი ლია ქობალავას ჩანაწერების ალბომში ვკითხულობთ მეუფე შიოს მიერ ხელმოწერილ ტექსტს: ,,თქვენს მიერ ჩატარებული საქველმოქმედო კონცერტები სენაკის საკათედრო ტაძრის მოხატვისა და ჩხოროწყუს საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის შემოწირულობათა შეგროვების მიზნით დაუვიწყარი და მნიშვნელოვანი მოვლენაა, როგორც ეპარქიაში, ასევე მთელი ქვეყნის საეკლესიო ცხოვრებში. დიდი მადლობა ასეთი თანადგომისათვის! ღმერთმა შეიწიროს თქვენი ღვაწლი!"

30 აპრილს, ასევე ხელოვნების ცენტრის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა მუსიკათმცოდნე ლუირა(ლია) ქობალავას კლასის კონცერტი, რომლის სლოგანი გახლდათ - ,,ჩვენ ეს უნდა ვიცოდეთ", თემა კი ,,პოლიფონიური მუსიკა. დასაწყისში აჟღერდა იოჰან სებასტიან ბახის ცნობილი ტოკატა და ფუგა რე-მინორი-(ორღანისათვის).

საფორტეპინო პოლიფონიური ნაწარმოებები შეასრულეს მოსწავლეებმა: ქეთი სალაყაიამ, ანამარია ჯიშკარიანმა, ნინია გულუამ, ანანო გოლანძიამ, ლილე სიხარულიამ, ელენე წერეთელმა, ბარბარე აკობიამ, თინათინ თხელიძემ, მელანო ფაცაციამ, თეკლა სახოკიამ, ეკატერინე კოკაიამ.

პოლიფონიურ მუსიკაზე, მის მნიშვნელობაზე, კომპოზიტორებზე ისაუბრეს მუსიკის ლიტერატურის ჯგუფის მოსწავლეებმა. ხაზი გაესვა, რომ ი.ს. ბახის შემოქმედება პოლიფონიური მუსიკის უმაღლესი მწვერვალია. თეორიული ცოდნა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გამოავლინეს II-IX კლასის მოსწავლეებმა: ლილე სიხარულიამ, ქეთი სალაყაიამ, ანამარია ჯიშკარიანმა, მელანო ფაცაციამ, ელენე გოგიამ, კესარია კუხიანიძემ, ლენა სებისკვერაძემ, ლიზი გობეჩიამ.

დასასრულს საღამოს ორგნიზატორმა ქალბატონმა ლუირა ქობალავამ მადლობა გადაუხადა სტუმრებს და ისაუბრა სამომავლო გეგმებზე. ყურადღება გაამახვილა მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავების აუცილებლობაზე, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე.

სიტყვით გამოვიდნენ ქალბატონები ლუიზა კემულარია, მაია კვარაცხელია, დარეჯან შეროზია, გულნაზ ქაჯაია.

ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ბატონმა ვეფხვია ვეფხვაძემ გამოხატა თავისი დამოკიდებულება და სურვილები მოსწავლეთა ცოდნის ამაღლების საკითხთან დაკავშირებით. საღამოს ესწრებოდნენ სკოლის პედგოგები, მოსწავლეთა მშობლები, სენაკის საზოგადოების წარმომამდგენლები.

დასასრულს კომენტარი ვთხოვეთ ქალბატონ ლუირა ქობალავას, რომელმაც გვიპასუხა: **„ჩემი საკმაოდ ხანგრძლი მუშაობის პერიოდიდან დღეს უკვე შემიძლია გამოვყო პრიორიტეტები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები - სასწავლო პროცესისი მუდმივი სრულყოფა, ზრუნვა თითოეული მოსწავლის ცოდნის დონის ამაღლებაზე. ზრუნვა კადრების აღზრდაზე, შედეგებიც შესაბამისი გახლდათ. 1984 წელს სკოლისათვის განახლებული 3 სართულიანი შენობის გადაცემა, რაც კოლოსალურ შრომასთან იყო დაკავშირებული. აღნიშნულმა ფაქტმა საგრძნობლად შეცვალოს სკოლის იერსახე. სკოლის 2 საკონცერტო დარბაზი, ენთუზიაზმი, თავდადება-ყოველივე უდიდესი წარმატების საწინდარი გახლდათ. დასასრულს კი საქველმოქმედო საქმიანობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. 16 მარტს და 30 აპრილს ჩატარებული კონცერტები კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია.**

მ. შონია

განვლილი გზით გამორჩეული

ყოველი ადამიანი ინდივიდუალურია და თითოეული მათგანი სხვათაგან ირჩევა პიროვნული მენტალობით, განვლილი გზით, გაკეთებული საქმეებით, მრწამსით...

დღეს მინდა გესაუბროთ ისეთ ადამიანზე, რომელიც თავისი განვლილი გზით სწორედ ასეთი გამორჩეულია. ეს გახლავთ ომარ გოგია, რომელიც დაიბადა სოფელ ლეძაძამეში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. უმაღლესი განათლების შემდეგ ის შ.ს.ს. ორგანოებში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. 1992 წლიდან კერძო ბიზნესით კავდება. ხოლო 1999 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ინიშნება. წლების მანძილზე იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს წევრი, საქართველოს შ.ს. სამინისტროს აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი, 1999 წელს არჩეულ იქნა საქართველოს ბიზნესის აკადემიის აკადემიკოსად. ფლობს პოლიციის გენერალ-მაიორის წოდებას. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999 წ.), ასევე ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით (2000 წ.).

მისი ქველმოქმედების ფაქტები ყველასათვის ცნობილია, ის აფხაზეთში ომის დროს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სამასი მილიონი რუბლით დაეხმარა, სხვადასხვა დროს საქართველოს შს სამინისტროს 150 მილიონი რუბლის ფორმა და აღჭურვილობა, ხოლო საქართველოს შს სამინისტროს პოლიციის აკადემიას 50 მილიონი რუბლის კურსანტების ფორმები, ასევე სენაკის პოლიციას საზამთრო და საზაფხულო ფორმები შეუძინა. აღდგენილი აქვს ნოქალაქევის ისტორიული (მე-18 ს.) ხიდი, ჩატარებული აქვს სარემონტო სამუშაოები აკაკი ხორავას სახელობის სენაკის პროფესიული სახელმწიფო დრამატულ თეატრსა და სენაკის ბიბლიოთეკაში, მენჯისა და სამხედრო ქალაქის სკოლებში სრულად შეცვალა სახურავი. საქართველოს ეროვნული გმირის ჟ. შარტავას სახელობის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციისთვის საჭირო დაფინანსება მოახდინა, სენაკში მშენებარე ეკლესიისათვის გაწეული აქვს ფულადი დახმარება, სამეგრელოს პოლიციისა და პროკურატურისთვის შეძენილი აქვს სათანადო აღჭურვილობა, წლების მანძილზე ფულად დახმარებას უწევდა იძულებით გადაადგილებულ პირებს და არა მარტო მათ. არაერთი ოჯახისათვის აქვს საცხოვრებელი ბინა შეძენილი. მშობლიურ სოფელ ლეძაძამეში ააშენა ორსართულიანი საშუალო სკოლა.

ნათქვამია,,ცდა ბედის მონახევრეაო", ამიტომ ცხოვრებაში მთავარი მონდომებაა, ყოველთვის უნდა ეცადო კარგი საქმის კეთებას, მეგობრებს, მეზობელს, ახლობელს უნდა გამოადგე, არც გაჭირვებული უნდა დაივიწყო-ასე გვარიგებს ხშირად ჩვენი უფროსი მეგობარი, თავად კი ყოველთვის მზადაა დახმარებისათვის, ,,თუ საჭირო იქნება კიდევ გამოვადგები ჩემს ხალხს და ჩემს საქართველოსო"-ამბობს იგი.

თამაზ დემურია

მეგობრების სახელით

მილოცვები

საზეიმო დღეები გქონოდეთ (დემურ გადელიას)

უფალმა მოგცა სიკეთე
და ხალხმა ბედნიერება.
შენს სიკეთეში ბობოქრობს
მომავლის ბედნიერება.
ერთი ხარ მაგრამ ათასს სჯობს
შენი საქმენი დიადი.
და ამიტომაც ამ ქვეყნად
გფარავდეს უფლის შენ მადლი.
განსაცდელს მყოფი შენ ბევრი
გაჭირვებული გინახავს,
ვინ მოთვლის იმათ სიკეთეს
შენ მოკრძალებით ინახავ.
იყავი მხნედ და ძლიერად,
არ დაგელევა მლოცველი,
შენ რომ აკეთე ამ ქვეყნად
ვართ მადლიერი ყოველნი.

რევაზ ნოსირელი

მედეა წირღვავა, ლარისა ადამია, ინეზა ბაღათურია, ლალი ხუხია, ნანა დავითაშვილი, დაბადების საიუბილეო დღეს ულოცავენ **ლარისა აგაბალაევას,** უსურვებენ საზოგადოებრივ, პროფესიულ წინსვლას და წარმატებებს პირად ცხოვრებაში.

დაბადებიდან -101 წელი

მოგზაურობა დროში

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით სენაკის მაზრა აერთიანებდა აბაშას, საკუთრივ სენაკსა და მარტვილს. აღნიშნული ტერიტორიული

ერთეულის ცენტრს სენაკი წარმოადგენდა და შესაბამისად ადმინისტრაციული მმართველობის სტრუქტურები აქ იყო განთავსებული.

განვითარების კვალდაკვალ სენაკი გახდა არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ კულტურისა და განათლების ცენტრიც. ეს იმიჯი მას შეუქმნა თითქმის საუკუნენახევრიანმა ისტორიის მქონე თეატრმა, სტამბამ, ბიბლიოთეკამ, წიგნის მაღაზიამ, უფრო ასაკოვანმა ძველი სენაკის პირველმა ქართულმა სკოლამ, რომელიც განათლების უმნიშვნელოვანესი სეგმენტი იყო სამეგრელოში. პირველმა გაზეთმა, რომელიც 1923 წელს გამოვიდა ,,კომუნას" სახელწოდებით და იყო მხარეში ბეჭდვური მედიის პირველი ორგანო.

იმ პერიოდში რეგიონში სენაკი პირველი იყო, რომელმაც უზრუნველყო პოლიგრაფიული ბაზის გამართვა, რედაქციის ჩამოყალიბება და მედია პროდუქტის შექმნა, რომელიც მთელს მაზრაში ვრცელდებოდა, დღეს ეს გაზეთი 101 წლისაა, მან დაარსებიდან დღემდე რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება. პირველად ერქვა ,,კომუნა", შემდეგ ,,მთლიანი კოლექტივიზაცია", ,,ავანგარდი", ,,კოლხეთის ცისკარი" (სარაიონთაშორისო) და ბოლოს „კოლხეთი". აღნიშნული დასახელებებით ჩვენი გაზეთი ჯერ მაზრის, შემდეგ საკუთრივ სენაკის, გარკვეული წლები სარაიონთაშორისო ეგიდით სტუმრობდა ოჯახებს და პერიოდულად აცნობდა სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კლტურულ, საგანმანათლებლო, სამედიცინო, რელიგიურ, არქეოლოგიურ, სამართლებრივ... და სხვა საკითხებზე მნიშვნელოვან სიახლეებს, ყოფით თუ უცხოეთის ამბებს და სხვა მნიშვნელოვან თემებს.

ჩვენში იშვითად შეხვდებით საუკუნოვანი ისტორიის მედია საშუალებას, მაგრამ ფაქტი სახეზეა, „კოლხეთი" 101 წლისაა, ამ თარიღთან დაკავშირებით

გადავწყვიტეთ გაზეთის განვლილი გზა განსხვავებული რაკურსით წარმოგვეჩინა. პირველ მაისს რედაქციის სივრცეში გამოფენილი ილუსტრაციებით, ხელნაწერებით, მკითხველთა და სენაკში სტუმრად მყოფ ცნობილ ადამიანთა ბარათებით, საიუბილეო ნომრებითა და მრავალ სხვა სათვალსაჩინო მასალებით მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდა ემოგზაურათ დროში, გაცნობოდნენ ეპოქის მაჯისცემას. რედაქციას სტუმრობდნენ მერიისა და საკრებულოს, საჯარო სამსახურების წარმომადგენლები, „კოლხეთელთა" შთამომავლები, მკითხველები, რომელთაც კიდევ უფრო გაისიგრძეგანეს გაზეთის განვლილი გზა და თავიანთი სურვილები, პოზიციები დააფიქსირეს. მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ საბა ოდიშარიამ, მერის მოადგილემ ნანა ზარანდიამ საუკუნოვან გაზეთს სიცოცხლისუნარიანობა, მკითხველთა სიმრავლე, შემოქმედებითი მრავალფეროვნება უსურვეს და ყოველ წამოწყებაში გვერდში დგომა აღუთქვეს, რედაქციის თანამშრომლებს კი გადასცეს სასაჩუქრე ვაუჩერები. ადგილობრივი ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება უდავოდ დასაფასებელია, რადგანაც მსგავსი მიდგომები საზოგადოებას ეხმარება საუკუნოვანი მედიასაშუალების როლის სწორად აღქმაში.

რადგანაც სენაკია მხარეში პირველი გაზეთის დაარსების ადგილი და ეს გაზეთი დღესაც სიცოცხლისუნარიანია, მის ბაზაზე მედიამუზეუმის თუ მედიათეკის მოწყობა მნიშვნელოვანი გვგონია, აღნიშნულმა იდეამ დააინტერესა სტუმრები.

სტუმართა შორის იყვნენ რედაქციის აწ უკვე გარდაცვლილი ღვაწლმოსილი ჟურნალისტების შთამომავალთა პირველი თაობა: რუსუდან მილიუტინი, მაია რობაქიძე-ძიძავა, გოგიტა მზარელუა, დამირ კუჭავა, ბეჟან შენგელია, რამაზ ქვარცხავა, თათია კანკია.... აგრეთვე დიანა ბერაია ქალიშვილ ტატა არახამიასთან ერთად. ქალბატონი დიანა გახლავთ დიდი გამოცდილების პოლიგრაფისტი, სტამბის ღვაწლმოსილი მუშაკი, ცოცხალი მატიანე სენაკის სტამბა-რედაქციის ხანგრძლივი ისტორიის. ასევე იყვნენ რედაქციის ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც წლები მუშაობდნენ აქ და ახლა სხვა სფეროს ემსახურებიან, გამოვყოფ მარიკა მიქაბერიძეს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის

რომ ეს დღე სანახაობრივად და შინაარსობრივად შთამბეჭდავი ყოფილიყო. რაც შეეხება ტელეკომპანია ,,ეგრისს" (დირექტორი მერაბ ჩიქობავა, მენეჯერი ლალი ლომაია, ჟურნალისტი ჯემალ ღამბაშიძე, ოპერატორი მამუკა შენგელია), მათი კოლეგიალური, პროფესიული თუ მეგობრული დამოკიდებულება ყოველთვის გამორჩეული და განსხვავებულია. მათ მიერ პროფესიული თვალთახედვითა და ალღოთი მომზადებული სიუჟეტი უამრავმა მაყურებელმა ნახა და საშუალება მისცა მათ, ობიექტურად გაეაზრებინათ, შეეფასებინათ იუბილარი გაზეთის ფუნქცია საუკუნოვან გზაზე.

ამ დღეს რედაქციაში მობრძანებულ თითოეულ სტუმარს და იმ ადამიანებს, ვისთვისაც „კოლხეთი" ღირებულია, მადლობას ვუხდით.

ნინო სართანია

გაზეთ ,,კოლხეთის" ისტორიულ ლაბირინთებში

100 წელიწადს გადაბიჯებული გაზეთ ,,კოლხეთის" ისტორია ხანდაზმულია, ის მოიცავს წლებს, ათწლეულებს, დროის საუკუნოვან მონაკვეთს, განვლილ ქაოსს, ამჟამად კი მოქცეულს მოვლენათა ჩარჩოებში და მომზადებულ ფაქტებს წარსული ეპოქის ობიექტურად აღსაქმელად. ეს დროის ის ნაწილია, რომელიც უკვე გარდასულ საგაზეთო ისტორიის შედარებით სწორ მხარეებს გვიჩვენებს... სენაკის ბეჭდვითი ორგანოს - გაზეთის (სხვადასხვა დროში განსხვავებული დასახელებებით) არქივის დათვალიერებისას, დაწყებული 1920-იანი წლებიდან დღემდე, ის გვამოგზაურებს რაიონის (არა მხოლოდ რაიონის) პოლიტიკის, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის სფეროთა საინტერესო სივრცეებში, გვაგრძნობინებს დროის ცალკეული მონაკვეთების სუნთქვას, მის სულს...

1923 წლის პირველი მაისიდან, ცხაკაიას რაიონში გაზეთის დაბადებასთან ერთად, იწყება ახალი ეპოქა, მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ინფორმაციის გავრცელება ძირითადად ხორციელდებოდა ბეჭდვითი ფორმით, გაზეთი წარმოადგენდა იმ დროისთვის მოწინავე საშუალებას, რომლითაც ხდებოდა ცნობების დაყვანა ადამიანებამდე...

სენაკის გაზეთი იზრდებოდა, ვითარდებოდა, დროსთან ჭიდილში განიცდიდა ცვლილებებს, მას ჰქონდა თავისი აღმავალი და დაღმავალი პერიოდები, როგორც ზოგადად გაზეთს, ტექნოლოგიურმა პროცესებმა გაუჩინა კონკურენტები - რადიოს, ტელევიზიის, ინტერნეტის სახით, მაგრამ საბოლოოდ მან გაუძლო დროს და 21-ე საუკუნის პირველ მეოთხედს, ასი წლის გამოცდილებით, მიესალმა ღირსეული პათოსით - ,,წინ მომავლისკენ!"

სენაკის მუნიციპალიტეტის 101 წლის გაზეთს - ჩვენი მუნიციპალიტეტის მატეანეს გააჩნია უდიდესი საინფორმაციო-საარქივო მასალა, რომელიც გვამოგზაურებს მის ისტორიულ ლაბირინთებში ყველა თავისი ნიუანსით, ბუნებრივია მას ვრცლად ვერ შევეხებით, მხოლოდ სიმბოლურად წარმოგიდგენთ მათგან რამოდენიმეს:

(28.10.1967წ. გაზეთი ,,ავანგარდი" №129) ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, ქართული სამეცნიერო საზოგადოების წინაშე აქტიურად დაისვა საკითხი - ,,ძველი კოლხეთის" არქეოლოგიურად შესწავლისა, რომელიც უნდა წარმართულიყო ისტორიის ყველა დროითი ეტაპის ფარგლებში (ქვის, ბრინჯაოს, კლასიკური, თუ უფრო გვიანი პერიოდები).

1967 წელს, ,,სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი"-ის ექსპედიციამ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ **დომენტი ქორიძის** ხელმძღვანელობით, ცხაკაიას რაიონის სოფელ მესამე ნოსირში, მდინარე ტეხურის მარცხენა სანაპიროზე ჩაატარა არქეოლოგიური სამუშაოები, რომელიც მიმდინარეობდა ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, აღნიშნულ ექსპედიციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბიძაჩემი (დედაჩემის ძმა) - **ვლადიმერ წირღვავა.**

1967 წლის არქეოლოგიურ გათხრებს წინ უსწრებდა მეოცე საუკუნის 30-იან წლებში, ცხაკაიას რაიონის სოფელ რეკაში ჩატარებული ექსპედიცია, რომელმაც გამოავლინა სხვადასხვა დროის სამი კულტურული ფენა, ძირითად ნივთებს თიხის ჭურჭლები და მისი ფრაგმენტები წარმოადგენდნენ, აღმოჩენის უნიკალურობა კი იმაშია, რომ მათ გააჩნიათ ადგილობრივი, თვითმყოფადი, კოლხური შემოქმედების ნიშნები (არტეფაქტთა ობიექტები არ ყოფილა გარედან შემოტანილი საქონელი, მას ამზადებდნენ ადგილობრივები); აღმოჩენილ ნივთებს შორის დიდი რაოდენობითაა აგრეთვე ბრინჯაოს და ქვის ნაკეთობანი...

1930-იან წლებში ,,ნაოხვამუს ბორცვზე" ჩატარებული ექსპედიცია ახლო პარალელს ავლენს 1967 წელს, ცხაკაიას რაიონის სოფელ მესამე ნოსირში ჩატარებულ გათხრებთან, მათი უნიკალურობა იმაშია, რომ აღმოჩენილია, არა დროის მცირე მონაკვეთის ძეგლები, არამედ II და I ათასწლეულის მთელი პერიოდის არქაული არტეფაქტები...

,,მესამე ნოსირის" (1967წ.) მონაპოვარი, ძირითადად კერამიკულ ნივთებს წარმოადგენდა, რომელიც განეკუთვნებოდა ბრინჯაოს პერიოდს... სამეგრელოში, მათ შორის ცხაკაიას რაიონში, ჩატარებულმა ექსპედიციებმა, არტეფაქტების მსგავსებებით დაგვანახა, თუ საქართველოს რაოდენ დიდ ტერიტორიაზე ინახება ერთი ხალხის მიერ შექმნილი ,,კოლხური კულტურული სამყარო"...

(17.10.1967წ. გაზეთი ,,კოლხეთი" №124) გაზეთ ,,ავანგარდის" 1967 წლის გამოცემაში გამოქვეყნებულ სტატიაში (,,ოქტომბრის ტოლი"- ეძღვნება დამსახურებულ მძღოლს, ვლადიმერ შურღაიას), ბაბუაჩემი ვლადიმერ წირღვავა იხსენებს, 1948 წლის 18 სექტემბერს, გალაკტიონ ტაბიძის სენაკში ვიზიტისას, დიდ პოეტთან ურთიერთობის ერთ-ერთ ეპიზოდს, რომელმაც სამადლობელი სიტყვა უძღვნა მის მომსახურე ავტომობილის მძღოლს, ვლადიმერ შურღაიას. გთავაზობთ ამონარიდს: ,,ჩემო ძმაო ლადო, ვაჟკაცი ხარ სანდო"... ,,მე დღეს თქვენ მასიამუვნეთ, დიდი მადლობა"!!

ხელი ჩამოართვა, გადაეხვია და აკოცა. პოეტის ესოდენი დაფასება, ბატონ ვლადიმერ შურღაიასათვის დიდი სტიმული იყო მომავალი კეთილი საქმეების საკეთებლად...

(03.11.1973წ. გაზეთი ,,კოლხეთი" №181) 1948 წლის 18 სექტემბერს ცხაკაიას რაიონში ჩამოვიდა ჩვენი სასიქადულო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გრანდიოზული დახვედრა მოუწყო სტუმარს ქალაქის საზაფხულო თეატრში, პოეტი შეხვდა მოსწავლე-ახალგაზრდებს, სადაც ბავშვებმა ლექსები ზეპირად წაიკითხეს მგოსნის წინაშე, ღონისძიების დასრულების შემდეგ გალაკტიონმა მოსწავლეთა ერთ ჯგუფთან გადაიღო ერთობლივი სურათი. შემოქმედებითი საღამოდან სასტუმროში დაბრუნებულმა აღტაცებულმა პოეტმა დაწერა შესანიშნავი ლექსი "მადლობა, დიდი მადლობა", რომელიც გაზეთ „ავანგარდის" შემდეგ ნომერში დაიბეჭდა.

ამ და სხვა საინტერესო ცნობებით აღჭურვილი სენაკის ბეჭდვითი ორგანო - გაზეთი, სხვადასხვა დროს განსხვავებული დასახელებებით, ამდიდრებდა მოქალაქეთა ინფორმაციულ სალაროს, ქმნიდა ქალაქის მატეანეს, უმზადებდა ახალგაზრდობას ნოყიერ საფუძველს, ისტორიის აწმყოში გადმოტანით წარმატებული მომავლისთვის გზა გაეკვლიათ ...

ვ. გარუჩავა

18 მაისი - მუზეუმების საერთაშორისო დღე

საგამოფენო სივრცეში

მუზეუმები ერთ-ერთი მტკიცე ბოძია, რომელზედაც დგას ჩვენი ქვეყნის სულიერება. 1977 წლიდან ყოველწლიურად 18 მაისს მთელ მსოფლიოში აღინიშნება მუზეუმების საერთაშორისო დღე, რომელსაც წლებია მოკრძალებით ეხმიანება სენაკის მუნიციპალიტეტში მოქმედი მუზეუმებიც.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით ჟიული შარტავას მუზეუმის ფოიეს საგამოფენო სივრცეში მოეწყო მუზეუმის ფონდში დაცული მასალებიდან საქართველოში მოქმედი მუზეუმების ფოტოებისა და თემატური ლიტერატურის გამოფენა ,,მუზეუმი-მუზების ტაძარი".

კერძოდ, წარმოდგენილი იყო სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმების, ქართული სიმღერისა და საკრავების, ფულის, აბრეშუმისა და ებრაელთა ისტორიის მუზეუმების ფოტოები. ამასთან ზუგდიდის დადიანების სასახლის, მარტვილის მხარეთმცოდნეობის, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული და წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის, ასევე ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის ყოფილი შენობის ფოტოები.

ქალბატონებმა ირმა კუპრეიშვილმა და ნათია ეჯიბიამ მუზეუმის თანამშრომლებს მიულოცეს პროფესიული დღე და გადასცეს საჩუქრები.

პროფესიულ დღესასწაულთან დაკავშირებით მუზეუმის თანამშრომელთა მისამართით კეთილი განწყობა გამოხატა ჟიული შარტავას დამ, სენაკის საპატიო მოქალაქემ ქალბატონმა ცისანა შარტავამ: ,,მადლობა და დიდი სიყვარული მუზეუმის კოლექტივს..." გისურვებთ დიდხანს შემართებით სვლას პროფესიულ გზაზე..."

სითბოთი იყო გამსჭვალული ქალაქის ცენტრში არსებული ჟიული შარტავას ბიუსტის ავტორის, ცნობილი მოქანდაკის ბატონი გიორგი შხვაცაბაიას სატელეფონო საუბარიც.

დღის დასასრულს მუზეუმის თანამშრომლებმა ყვავილებით შევამკეთ ჟიული შარტავას ბიუსტი, რომლის საზეიმო გახსნაც მოეწყო 27 წლის წინ, 1997 წლის 18 მაისს.

პროფესიული დღის მოკრძალებული აღნიშვნა ლამაზ ფურცლად ჩაიწერა მუზეუმის თანამშრომელთა მეხსიერებაში.

მარინე აბრამია

თემატური ღონისძიებები



მუზეუმების საერთაშორისო დღის, 18 მაისის აღსანიშნავად, საინტერესო თემატური ღონისძიებები გაიმართა ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. თავდაპირველად მოეწყო ნაქარგების გამოფენა, ხოლო 20 მაისს ღია გაკვეთილი "ხელოვნება და მუზეუმი".

საქართველოში ქარგვა ძალზე პოპულარულ ხელსაქმეს წარმოადგენდა. იგი გავრცელებული იყო ყველა ფენაში. თითქმის ყველა ოჯახში იყო მქარგველი. ფაქიზად იყენებდნენ ქარგვის ტექნიკის ტრადიციებს. მაღალი გემოვნებით ახამებდნენ ფერებს, ზრუნავდნენ სახეების გაუმჯობესებაზე, და ახალი ორნამენტებით მათ გამდიდრებაზე. მუზეუმის გამოცდილი მუშაკის ლალი გულუას თაოსნობით რაიონში მოძიებულ იქნა ძველი დროის, უმშვენიერესი ნაქარგები, რითაც მოეწყო ორიგინალური, ლამაზი თემატური გამოფენა. რომელმაც დამთვალიერებელთა მოწონება დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ გამოფენისთვის წარმოდგენილ იყო ალექსანდრე (შურა) ნოდია- ოდიშარიას, ნელი ფაჩულიას, თამარ(თათუშა) ოდიშარიას. ციური ხორავას. ზეინაბ ყურაშვილის, საშა ჭაავას, კლარა წულაია – ეჯიბიას, დების: ვალია, ნათელა და მერი ოდიშარიების ნამუშევრები.

20 მაისს, მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით, ამავე სკოლის ხელოვნების პედაგოგმა, თინათინ ჭანტურიამ ჩაატარა ღია გაკვეთილი თემაზე „ხელოვნება და მუზეუმი“ სლაიდების გამოყენებით, მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით გაკვეთილი ჩატარდა საინტერესოდ და მაღალკვალიფიციურად. რომელსაც ესწრებოდა სენაკის ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის წარმომადგენელი სოფო გარუჩავა. ჟიული შარტავას და მისი სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები.

მოსწავლეებს მიესალმნენ მუზეუმის სპეციალისტები: მარინე აბრამია, დამირ კუჭავა და ბორის დავითაია, მათ მადლობა გადაუხადეს სკოლას, პედაგოგს და მოსწავლეებს გამოვლენილი აქტიურობისა და მუზეუმის ისტორიის დაინტერესებისთვის.

დამირ კუჭავა,
ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი

სიკეთე გადამდებია

,,სიკეთის ქმნის" მარათონი გრძელდება სენაკის ხელოვნების, მასამედიის, კულტურულ-საგანმანათლებო დაწესებულებების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფესიულ გაერთიანებაში.

წლებია, ორგანიზაციას სათავეში უდგას კეთილგონიერი, სულით-ხორცამდე სხვაზე უანგაროდ მზრუნველი ქალბატონი ინეზა ღვინჯილია. მისი თაოსნობით შექმნილი საინიციატივო ჯგუფი საღდგომოდ მზადებას კარგა ხნით ადრე შეუდგა და აქციამ სახელწოდებით ,,სათნოების კალათა" გაახარა სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის სისტემაში დასაქმებული სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახები. მარათონში განსაკუთრებული მონდომებით და სიხარულით ჩაება აქციის ყველაზე პატარა მონაწილე ნინო ნანავა, რომელიც იზრდება პრინციპით: ,,გიყვარდეს მოყვასი შენი", ის დიდი ხნით ადრე აგროვებდა საჩუქრებსა და თანხას შეჭირვებული თანატოლებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როცა საჩუქრებით გაახარებდა მათ. ნინოს მიბაძვით მარათონში ასევე სიხარულით ჩაერთო მისი პატარა მეგობარი ლილე ხვიჩია, რომელმაც საჩუქრები შემატა საღდგომო ნობათს.

განსაკუთრებული მადლიერებით ავღნიშნავთ აქციისადმი გულთბილ მხარდაჭერას კულტურის პალატისა და ხელოვნების, მასმედიის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტის და ტურიზმის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტ დავით ოქიტაშვილისა და მისი შესანიშნავი გუნდის - ქალბატონ მანანა დარბაიძის, ნატაშა ინჯიას და მაია მენთეშაშვილის მიმართ. მათ სენაკელ, კულტურის სფეროში დასაქმებულ სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს ხელმეორედაც გამოუგზავნეს დედაქალაქიდან საღდგომო ამანათები და მრავალი ოჯახი გაახარეს.

ასევე დიდი მადლობა სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლებსა და მათ, ვინც ჩაერთო პროფესიული კავშირის მიერ ორგანიზებულ კეთილშობილურ აქციაში, ვინც მცირე წვლილი შეიტანა, სიკეთის თესლი გააღვივა, ქრისტიანული გულმოწყალებისა და მოყვასისადმი დახმარების სურვილი გამოხატა, აღდგომის ბრწყინვალე დღეები გაუფერადა მოყვასს.

დიდი ქართველი მწერალი, გურამ დოჩანაშვილი ბრძანებს: - ,,სიკეთე გადამდებია", ,,დედამიწას სიყვარული ატრიალებს", - ინებოს უფალმა და აღდგომის დღესასწაულის მადლით თითოეულ ჩვენგანს მიეცეს სიყვარულისა და სიკეთის ქმნის უკიდეგანო ნიჭი!

აქცია გრძელდება, მსურველებს გთხოვთ შემოგვიერთდით!

თქვენი მასპინძელია ,,სათნოების კალათა" .

ნ. ტყეგუჩავა,
საინიციატივო ჯგუფის წევრი

უფროსი მეგობრის ხსოვნას

სენაკის საზოგადოებას გამოაკლდა ღვაწლმოსილი ქალბატონი, **მერი კალისტრატეს ასული ბაღათურია-კუჭავასი.**

ის თავისი საპატიო წარსული ცხოვრებითა და დღევანდელი მხცოვანი მდგომარეობით სიცოცხლის 99 წლის ასაკში აღესრულა - თითქმის საუკუნე იცხოვრა საღი აზროვნებით, ჯანმრთელი მდგომარეობითა და საზოგადოებასთან ურთიერთობით.

ქალბატონ მერისთან კავშირი სენაკის ყველ-კარაქის მთავარ ქარხანაში ჩემი დირექტორად დანიშვნიდან დაიწყო. საწარმოში მერი მუშაობდა მისი დაარსების დღიდან ქარხნის საბოლოო ლიკვიდაციამდე (საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდი) უფროს ლაბორანტად, იყო წარმატებული სპეციალისტი, საქმის მცოდნე და საწარმოს გულშემატკივარი, გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებით, უანგარობით, ხასიათში ჰქონდა რაღაც თავისი, ინდივიდუალური, რითაც სხვებისგან განსხვავდებოდა, გამოირჩეოდა და რაც, საოცრად დადებით განწყობას ჰქმნიდა მთლიანად კოლექტივში - რომ იტყვიან, იყო ასეთი, სხვებს არ ჰგავდა და სხვაგვარად არც შეეძლო... ამ მისმა თვისებებმა ძალიან დამაახლოვა მასთან და იყო არა მარტო ჩემი თანამშრომელი, არამედ გახდა მეგობარიც... რა თქმა უნდა, ხდება ასეც, სწორად აღქმად კოლექტიურ გარემოში.

მერის მხარს უმაგრებდა მისი წარმატებული ოჯახური მდგომარეობა, რომლითაც არასოდეს ქედმაღლობდა.

მამა - კალისტრატე ბაღათურია, ადგილობრივი სახელმწიფო მმართველობით სტრუქტურაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. დედა - ქალბატონი ქსენია გაგუა - დიასახლისი. ძმა - გივი ბაღათურია, ერთ-ერთი საამშენებლო სამმართველოს უფროსი იყო. მეუღლე - ნოკოშა კუჭავა, შს სამინისტროს სენაკის რაიონული განყოფილების უფროსი გამომძიებელი, სამმართველოს უფროსის მოადგილე.

შინაურულ, საოჯახო წრეში, მერის განებივრებული ცხოვრებით უცხოვრია...

მაგრამ გადიოდა წლები, დრო ყველაფერს თავისებურად ალაგებს და ცხოვრებამაც, სამწუხაროდ, მწარე განსაცდელი მოუწყო - უბედურმა და განუკურნებელმა სენმა, ჯერ სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილი, ხოლო ადრეული სიბერის ასაკში, ვაჟიშვილიც გამოასალმა წუთისოფელს.

მერი, როგორც მუხა, არ დაეცა და რძლების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების კეთილგანწყობამ იზრუნა მისი სიცოცხლის გახანგრძლივებაზე - 99 წელი ოჯახის წევრებთან, უახლოეს ადამიანთა წრეში გაატარა და იცხოვრა კეთილსინდისიერი ქალბატონის ღირსეული ცხოვრებით.

მედეა წირღვავა

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, გიორგი გარუჩავა
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33